გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 7 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი


### ქართული თეატრი

**დღეს, 24 ენკენისთვეს**

არწრუნისეულ თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება კ. ყიფიანის მონაწილეობით, რომელიც მხოლოდ ორს წარმოდგენაში ითამაშებს:

**დამნაშავის ოჯახი**

დრამა 5 მოქმედებად ჯიაკომეტტისა.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა; ბბ.: ყიფიანი, აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი და სხვ.

**დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.**

---

ტფილისი, 23 სექტემბერი

სათემო სასამართლოსა პროექტით მინიჭებული აქვს უფლება დამნაშავედ ცნობილთა ბრალეულებს გაუჩინოს სასჯელად სათემო საქმეზედ მუშაობა ექვს დღემდე, ანუ გადაახდევინოს სათემო გასსის სასარგებლოდ ფულად სამს მანათამდე, ანუ შვიდ დღემდე დაამწყვდიოს; ცხენებისა და საქონლის ქურდობისათვის კი პატიმარ-ჭყოს შვიდის დღიდამ ერთს თთვემდე, გარდა იმისა რომ დანაკარგი უნდა ეზღვევინოს. ამ სახით სჩანს, რომ ქურდობა-მოტყუება, თუნდა საგანი ხუთის თუმნისაც იყოს, წვრილთა დანაშაულობათა შორის არის მოქცეული. ჩვენ ეს შეცდომა გვგონია. ჩვენ იმის მომხრენი სულაც არა ვართ, რომ დიდი და მძიმე სასჯელი ჰშველოდეს რასმე დანაშაულობის ამოკვეთას და ზნეობის გასწორებას და გამოკეთებას, მაგრამ რაკი სიმძიმეს დანაშაულობისას უნდა შეეწონოს სიმძიმე სასჯელისაც, მაშინ ქურდობა-მოტყუება თვისის სიმძიმით არ შეეფერება სასჯელს, რომელიც დადგენილია, მაგალითებრ, საბრიყვო დანაშაულისთვის, სიტყვით, თუ საქმით წყენისათვის, სხვის მიწის გადახვნისათვის, ღობის გაფუჭებისათვის და სხვა ამ გვარ წვრილ დანაშაულობისათვის, რაიც ჩამოთვლილია პროექტის 67 მუხლში. ამ მხრით, ჩვენის ფიქრით, 68 მუხლი პროექტისა საჭიროა შეიცვალოს და ქურდობა-მოტყუებას წვრილ დანაშაულობაზედ მეტი სასჯელი დაენიშნოს. პროექტში არ არის მოხსენებული განაჩენი სათემო სასამართლოსი, რომელი დაბოლოებულ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს და რომელი უმაღლესს სასამართლოში გადასატანად. ჩვენა გვგონია, რომ კარგი იქნებოდა, არა-სასიხლო საქმეთა გამო სამზღვარი რამ დადებულ ყოფილიყო ამ ორ გვარ გადაწყვეტილებათა შორის იმისდა მიხედვით თუ,—საგანი სადავო და საძიებელი რა ფასისა იქნებოდა. ამ შემთხვევაში ყოველივე საქმე, თუ სადავო და საძიებელი ხუთს მანეთს არ აღემატებოდა, სათემო სასამართლოს დაბოლოვებულად უნდა ექვემდებარებოდეს და უმაღლესს სასამართლოში აღარ გადიტანებოდეს. ხოლო სასიხლო საქმე არა-კმაყოფილთაგან ყოველ შემთხვევაში გადატანილ უნდა იქმნას უმაღლესს სასამართლოში, იმიტომ-რომ ამისთანაებში ადამიანის ღირსებას ზნეობითად ჩირქიც ეცხება, გარდა იმისა რომ ხორციელად ისჯება. რადგანაც ღირსება და პატივი ადამიანისათვის ძვირფასი რამ არის, კანონი უნდა ფრთხილობდეს უმართლო განაჩენმა არავის შეუბღალვლოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ, თუ განუზრახველად. ამ მხრით თანაგრძნობის ღირსია პროექტი, რომ ყოველივე სასისხლო თვისების საქმე უცვნია საფრთხილოდ და განაჩენისაგან გულ-ნაკლულისათვის მიუნდვია თუ უკმაყოფილოა და ჰსურს, საქმე უმაღლესს სასამართლოსაც ხელახლად გადაასინჯოს. რა თქმა უნდა ეს უმაღლესი სასამართლო გლეხკაცობაზედ რომ შორს იყოს და მასში რთული, გლეხ-კაცობისათვის მიუწდომელი წესები მოქმედობდნენ, მაშინ ძნელი იქმნებოდა სათემო სასამართლოს შეცდომის გასწორება უმაღლესის სასამართლოს მიერ, იმიტომ-რომ ძნელად თუ უმართლოდ გამტყუნებული გლეხ-კაცი არ შეუშინდებოდა ტანტალსა და ხარჯსა ამ შემთხვევაში და გულში არ ჩაიმარხავდა ჯავრსა და დარდსა უმართლოდ წაგებულის საქმისას. პროექტის დამწერთა საქებურად უნდა ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მოჰშველებიან გლეხკაცობას და დედა-აზრად მიუღიათ, რომ უმაღლესი სასამართლო რაც შეიძლება ახლო უქონიონ გლეხკაცობას და თვითონ წესები საქმეთა წარმოებისა განუმარტივონ იმოდენად, რომ ყოველს გლეხ-კაცს თვითვე შეეძლოს თვისის საქმის წარმოება და მოვლა. ამისათვის დაუდგენიათ „გლეხთა მართველობის სამაზრო ზედა-მხედველობა" (уѣздный по крестьянскому управленію надзоръ). რაში მდგომარეობს უფლება და მოვალეობა ამ „ზედა მხედველობისა", რა რიგად და ვისგან არის იგი შემდგარი—ყოველს ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

---

## ახალი ამბავი

*** ქუთაისელებიც არ ჩამორჩომიან უკან ტფილელებს თეატრის საქმეში. როგორც შევიტყეთ, 21 სექტემბრიდამ ქუთაისში შეუდგენიათ დასი და წარმოდგენებსა ჰმართავენო. დასს შეადგენს 6 ქალი და 11 კაცი. დასის გამგებლად კ. მესხიაო. რეპერტუარში მოხსენებულია შემდეგი პიესები: ედმონდ კინი, გზა დაბნეულნი ცხოვარნი, მასკარადი, მონასტრის ზღუდეთა შორის, დაქცეული ოჯახი და სხვ. ამას გარდა, ქუთაისის დასს განუზრახავს, დრო გამოშვებით ტფილისის დასის არტისტებიც მიიწვიოს ხოლმე ქუთაისის სცენაზედ წარმოდგენებისთვის. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო ამბავია და ამიტომ ვისურვებთ, რომ რიგიანად წასულიყოს ქუთაისის დრამატიულის დასის საქმე.

*** ამ ჟამად ტფილისში ავადმყოფობათა-შორის უფრო გავრცელებულია წითელი ქარი. ხშირია აგრეთვე ხან-გამოშვებითი ციება. ამის მიზეზი უფრო შემოდგომის ჭინჭყლიანი და დაუდგრომელი ამინდებია: სითბოს უცებ მოსდევს სიცივე, სიცივეს სითბო.

*** გუშინ ვანქის ეკკლესიაში გაასვენეს მიცვალებული პოდ-პორუჩიკი სამეგრელოს პოლკისა ელ. მ. ყორღანოვი და იმ დღესვე დაასაფლავეს წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ.

*** 26 და 28 სექტემბერს დიდუბეში იქნება დოღი, შუადღის უკან, 4 საათზედ.

*** ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა გამოცხადებული, რომ საქალებო ინსტიტუტის ახლო, ლაბორატორიის ქუჩაზედ, ახალის შენობის გვერდით სახლის კედელი გადმოიქცა და ქვეშ ორი მუშა მოიტანაო. გაზ. „კავკაზის" სიტყვით, ამ ახალის შენობის პატრონი პასუხის-გებაშია მიცემულიო, თანახმად კანონთა 1466 მუხ. ძალისა. შენობის პატრონთან ერთად პასუხის-გებაში არიან აგრეთვე მიცემულნი მოიჯარადრე თავადი დიასამიძე და ინჟინერი ბ-ნი სალამბეგოვიო. ეს საქმე მომრიგებელ-მოსამართლის 1-ლს განყოფილებაში გაირჩევა.

*** კვირას, ნაშუადღევის 5-ს საათზედ, ვორონცოვთან, წყლის პირას, სამაზრო პოლიციის გამგეობის ახლო შეიკრიბა ხალხი და დაიწყეს ყვირილი, რომ მტკვარში ვიღაცა დედაკაცი გადავარდაო. ამ დროს წისქვილიდგან წყალში გადახტა მეწისქვილე გიორგი არჩუაძე და გამოიყვანა წყლიდგან 30 წლის დედა-კაცი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ჯერ კიდევ ეტყობოდა. დედა კაცი მოასულიერეს და სამკურნალოში გაჰგზავნეს. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ეს დედა-კაცი ვიღაც მელანია ბარკოვისა ყოფილა.

*** გაზ. «ახ. მიმოხ.» სიტყვით, 9 სექტემბერს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის-ძეს, მის მეუღლეს დიდ მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულს და მათს შვილს დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის-ძეს აი რა საქმე მოსვლიათ ბადენ-ბადენში: შუა-დღის პირველს საათზედ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ეტლში ჩაბძანებულან და განუზრახავთ კარლსრუეში წასვლა. ერთის სასტუმროს ახლოს ცხენებს ვიღასიც დაბარგულის ეტლისა შეშინებიათ, დამფრთხალან და ფარნის ბოძისთვის მიუხლიათ ეტლი.

---

# ფელეტონი

### საზაფხულოდ სოფელში

(სიღნაღის მაზრიდამ)

სიყმაწვილიდგან დაწყობილი სიბერემდის კაცს ზოგიერთი თვისება უცვლელად შერჩენია. იმას, რაც კი ატკბობს, ახარებს, ალიტაცებს ბაშვურ ბუნებას, შეუძლიან ხშირად ალავსოს აგრეთვე სიამოვნებით კაცის დაწყლულებული გული სიბერის ჟამსაც. ასე შეიძლება ითქვას იმ სოფლის, ქალაქის და საზოგადოდ იმ ადგილის სიყვარულზედ, საცა კაცი დაბადებულა და თავისი სიყრმე გაუტარებია. ეს სიყვარულია სწორედ ის უცვლელი თვისება, რომელიც განუშორებლად თან დასდევს ადამიანის ბუნებას, როგორც დედა-მიწას თავისი თანა-მოგზაური მთვარე. თუ კაცი კაცია, თუ მას ადამიანური გრძნობა გონება მოკლებული არა აქვს, მე ვერ შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ მას ცოტად თუ ბევრად არა ჰქონდეს ამ გვარი სიყვარული შეგნებული. არამც თუ ადამიანებში, თვით ცხოველებსა და ფრინველთა შორისაც კი არის ამ გვარი სიყვარული. მოგეხსენებათ, რომ მეცნიერებს უკვე ნაცადი აქვთ ეს გარემოება ფრინველებზედ და განსაკუთრებით მერცხლებზედ. უკანასკნელისათვის ყელზედ შეუბამთ ნიშანი, იგი საზამთროდ გაფრენილა თბილ ქვეყანაში და გაზაფხულზედ დაბრუნებულა ისევ იმ სოფელში, იმ სახლში, მოუძებნია ის ბუდე, რომელშიაც პირველად თვალის ახელა ჰღირსებია. ცხოველებზედ ხომ ყველას ექმნება გამოცდილი. ჩემის საკუთარის თვალით მყავს ნანახი კამეჩი, რომელიც პატრონს შორს სადმე გაუყიდნია, მაგრამ ისევ ძველ პატრონის სახლში დაბრუნებულა.

ძაღლმა ხშირად იცის, როდესაც ორიოდე სამის დღით სხვაგან წასულ პატრონს უკანვე სახლში მოჰყვება, ყეფითა და ერთის ამბით თხუთმეტჯერ შემოურბენს ხოლმე ეზოს ყველა კუთხეებს, რითაც, უეჭველია, თავის სიხარულს ამტკიცებს.

ბოდიშს ვიხდი შედარებისათვის-კი და ადამიანიც ასეა. როგორც თავისთავი და საზოგადოდ რაიმე თავისი საკუთრება კაცს უყვარს, ასე თუ ისე ყოველთვის აგონდება, თვალ-წინ უდგა,—ისე საკუთარი სოფელი, ქალაქი, ერთის სიტყვით, ის ადგილი, საცა ჩვენ დავბადებულვართ, ყოველთვის გვიყვარს, გვაგონდება.

მოგეხსენებათ, ბევრს ჩვენთაგანისათვის ბედს ხვედრად ურგუნებია, თავის სოფელს მოშორდეს ხოლმე რამდენისამე ხნით; ბევრი ჩვენთაგანი მხოლოდ ზაფხულობით ჰნახავს ხოლმე სოფელს, თავის მეზობლებს, ნათესავებს. ეს გარემოება უმნიშვნელო არ არის ადამიანის სიცოცხლეში. მისდიხარ შენის სოფლისკენ და შუა გზაშივე ატყობ შენს თავს, რომ გუნება თითქოს როგორღაც გეცვლება. გული მხიარულობს, სასიამოვნო ფიქრებს ეძლევი, თითქო მხნეობა გემატება, სახეზედ ღიმილი მოგდის... ამბობენ, რომ სოფლის ჰავა ჰრგებს ხორცსაო; ეს კიდევ ცოტაა. სოფლის ჰავა მარგებელია არა თუ მარტო ხორცისათვის, არამედ სულისათვისაც.

მე მყავნდა ერთი მეგობარი, რომელიც ტფილისში დიდის ხნის ცხოვრების შემდეგ სოფელში გადასახლდა. საშინლად გავცვიფრდი, როდესაც იგი რამდენისამე ხნის შემდეგ პირველად ვნახე ახლად დაბინავებული. სულ გადახალასებულიყო: აღარც მისი ჩვეულებრივი დუმილი, აღარც მოწყენილობა, აღარც სიცოცხლის ათვალწუნება, აღარც მისი კაცთაძულება! მე, რასაკვირველია, მოვინდომე შემეტყო მიზეზი და ვკითხე: ნეტა რა ამბავია, რომ ტფილისში სულ პირ-მოქუშული იყავ, სულ თავ-პირი ჩამოგტიროდა და ეხლა ასე მხიარულსა და იმედით სავსესა გხედავ მეთქი?—„ჩემო ძმაო," მიპასუხა იმან: „განა შეიძლება დიდს ქალაქში კაცი სცხოვრობდეს და დარდი და ბოროტი ოდესმე დაელიოს? განა შეიძლება, კაცი ქარიშხალისაგან აღელვებულ ზღვაში გემით მიდიოდეს და შიშისაგან გული არ უთრთოდეს, ან თავისი თავი არ ენანებოდეს, ან სხვისი ვაი და ვიში არ აწუხებდეს?

მეც თითქმის ამავე აზრისა ვიყავი სოფელში ცხოვრების გამო, როგორც ჩემი მეგობარი, ე. ი. მჯეროდა, რომ სოფელში ცხოვრება კაცისთვის იქაურის განსაკუთრებულის ვითარების წყალობით უფრო საადვილოა, უფრო სასიამოვნოა; მჯეროდა, რომ სოფელში შედარებით „კაი" მეტია „ავზედ" და რომ დიდ ქალაქებში პირ-იქით „ავი" უფრო მეტია. ამიტომ ჩემს მეგობარს არ ავუხირდი. საუბედუროდ, წლეულ სოფლის ცხოვრებამ ეს აზრი სრულიად შემიცვა-

მეტლე გადმოვარდნილა ძირს და ისე დაცემულა, რომ იქვე გული წასვლია. ეტლში მსხდომარეთ არა დაშავებიათ-რა, შეშინების, მეტი რადგან ცხენები მაშინვე შეუყენებიათ. მეორე ეტლში დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის-ძე და პრინცი მაქსიმელიანე ბადენისა მჯდარან. რომ დაუნახავს, მშობლები საფრხეში არიანო დიდს მთავარს, გაქენებულის ეტლიდგან გადმომხტარა და გადმოხტომის დროს ცოტაოდნად დაშავებულა.

*** 10-დგან 20 სექტემბრამდე სპარსეთში სულ 7,579 ფუთი და 26 გირ. თავი-შაქარი და 6,218 ფუთი და 8 გირვ. ფხვნილი შაქარი გაუტანიათ. გაზ. „Каспій" ამბობს, რომ შაქრის გამგზავნელთ მთავრობისაგან ჯილდო მიეცემათ და ბაჟიც დაუბრუნდებათ სულ 20,000 მანათამდეო.

*** ახალ-სენაკის ახლო შავის-ქვის მადნები აღმოჩენილა. გაზ. „კავკაზს" სწერენ სამეგრელოდამ, რომ თუ აქაური შავი ქვა კარგის ღირსებისაა და ბლომადაც არის მიწაში, მაშინ შავის ქვის მწარმოებელთათვის ბევრად სახეირო იქნება, რომ ახალ-სენაკიდამა ჰზიდონ ბათუმსა და ფოთშიო. ის ფული, რაც ეხლა რკინის გზის ხელში გადადის ზემო-იმერეთიდამ შავის ქვის გადატანისათვის ფოთსა და ბათუმში, მაშინ სულ შავის ქვის მწარმოებელთა სასარგებლოდ დარჩებაო. ამას გარდა სამეგრელოში უფრო მეტია მუშა ხალხი, რომელსაც იმდენი საქმე არა აქვს, როგორც ზემო-იმერეთში, სადაც ნაყოფიერია მიწები და მაშასადამე საქმეც ბევრიაო.

*** ზაქათალაში, ამავე გაზეთის სიტყვით, სომხების ეკკლესიის გვერდზედ გაუმართავთ სომხური ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა.

*** ქუთაისელი კორრესპონდენტი შემდეგს ამბებსა სწერს იმერეთიდამ გაზ. „კავკაზს": ქურდობა ამ ჟამად იშვიათი არ არის ქუთაისშიო. ამას წინად ქურდები შევიდნენ ერთს დუქანში და გამოიტანეს ნივთები და ფულიო. დუქანს ახლო ვიღაც კაცი დაჰხვდა ქურდებს და ერთს მათგანს ჯოხი დაარტყაო, მაგრამ ქურდი მოუბრუნდა და დასჭრა ხანჯლითაო.

კორრესპონდენტი ემდურება აგრეთვე საქალაქო გამგეობას. ამ გამგეობამ აიღო და ჩეხა დაუწყო ჯერ ისევ ნორჩს საქალაქო ტყესაო, ისე რომ სრულიად მოატიტველა ტყიანი ადგილები რკინის-გზის სადგურს ახლოვო. ქუთაისში ზაფხულში სიცხეები იცის და ცხელი აღმოსავლეთის ქარიო და ამიტომ ტყე ამ ქალაქისათვის ძალიან საჭიროაო. გამგეობამ-კი ჯერ ბ—ძეს მისცა საჩეხად და ახლა თავადა სჩეხავს, თითქო სხვა არავითარი საქმე არა აქვს-რა ისეთი, საიდამაც შეიძლება შემოსავალი იქონიოს და ქალაქის ხარჯს გაუძლევსო.

ქუთათურებს ძალიან უხარიანთ, რომ ტყიბულის რკინის გზის შტო თავდებაო. იმედი აქვთ, იქნება ამ შტომ მაინც დაგვასაჩუქროს იმის მაგიერ, რაც დაგვაკლდა, როცა რკინის გზა ასცდა ჩვენს ქალაქსაო. ქვანახ-შირის წარმოება შეასვენებს ტყეებსაო. მდიდარ კავკასიას ძალიან ეჭირვება ეს საწვავი მასალა, მეტადრე თუ ქარხნები და ფაბრიკები ბლომად დაიმართაო. ჯერ-კი ამ გვარი სამრეწველო საქმე ცოტაა კავკასიაშიო. ცოტაა იმიტომ, რომ ფული არ არის და სესხადაც არავინ იძლევაო. უცხოეთიდამ ეს ფული არ მოვა ჯერ გვიანობამდე, იმიტომ რომ უცხოეთის ფულიანი ხალხი კარგად არ იცნობს კავკასიასა და საქართველოსაო.

## ნაკვესი

ძველ დროში ხურმა ძალიან იეფი იყო. ვინც ერთს მარჩილს მისცემდა ბაყალს, ნება ჰქონდა მისდგომოდა ხურმით სავსე თაბახს და ერთს ხანობაზედ იმდენი ეჭამა რამდენიც შეეძლო. ერთმა კაცმა თურმე იმდენი ჭამა, თითქმის თაბახი გაანახევრა. მედუქნემ რომ ეს დაინახა, სთქვა გულში: ასე რომ იაროს, მთელს თაბახს დამიცარიელებსო და უთხრა:

— ძმობილო, მაგდენს რომ სჭამ, გულს დაგწვავსო.

— მე კი არა და მე ვიცი, შვილო, ვისაც დასწვავს გულსაო,—მიუგო ხურმის მუშტარმა და მიჰყო ისევ ხელი.

## თეიმურაზ მეფის თხზულებათა დაბეჭდვის გამო.

«ივერიის» მე-202 ნომერში წავიკითხე ამბავი, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს დაუწყია მეფე თეიმურაზ პირველის ლექსების ბეჭდვა და ამ მცირეს ხანში კიდეც დაიბეჭდებაო. ამ ამბავმა ცოტა არ იყოს უნდა დაგვაფიქროს.

თეიმურაზ პირველის ლექსები აქამომდე ნაწილ-ნაწილად იყო დაბეჭდილი ზოგი ცალკედ, ზოგი ჟურნალებში; მრთლად კი ერთად შეკრებილი მისი თხზულებანი დაბეჭდილი არ გვინახავს. თუ ახლა ზაქ. ჭიჭინაძე სრულად, ერთად შეკრებით აპირებს ბეჭდვას, გასინჯვა და გამორკვევა ეჭირება, ტექსტს აღდგენა უნდა, რადგანაც ნამდვილი ხელ-ნაწერი თეიმურაზ პირველისა არსად ჯერ არ გამოჩენილა. საჭირო იქნება ხელ-ნაწერების შედარება და ამ საფუძვლით ტექსტის აღდგენა.

დღეს ეს გამორკვევა უეჭველად აუცილებელია. თეიმურაზ პირველის და თეიმურაზ მეორის ნაწერები დღევანდლამდე ერთმანეთში არეულია გადამწერთაგან და დაბეჭდილებშიაც შესაძლოა არევით იყოს ასე, რომ ერთის ნაწერს მეორის სახელი ერქვას და მეორისას პირველის სახელი.

ამის დასამტკიცებლად შემიძლიან ერთი შემთხვევა მოვიყვანო. ამ ცხრაათის წლის წინად დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის „ვარდ-ბულბულიანი" პატარა ბროშიურად და ტექსტის რედაქცია მე მქონდა მონდობილი. ბროშიურას ორიოდე სიტყვა დავურთე და თეიმურაზ პირველის და მეორეს თხზულებათა სახელები გავყავი, ვის რომელი ეკუთვნოდა. იმ ჟამად რაც ხელ-ნაწერი ხელში მქონდა და ან რაც დაბეჭდილი იყო ჟურნალებში იმას დავემყარე. მაგრამ მას შემდეგ შემხვდა კიდევ ბევრი სხვა ხელ-ნაწერები და გადახედვით დავრწმუნდი, რომ პირველი ჩემი დასახელება და განყოფა თხზულებათა ორთა მეფეთა ნაწერებისა სრული არ იყო, შევსება და შესწორება ეჭირვებოდა. ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ დამენახვებინა როგორ საჭიროა შეკრება და გადასინჯვა ორისავე მეფეთა თეიმურაზთა ნაწერებისა ერთსა-და-იმავე დროს. თუ ერთი მეორის მიუხედავად და შეუმოწმებლად გაისინჯა, აუცილებლად შეცდომა მოხდება მრავალი, რადგანაც ორსავე მეფეს ბევრი ნაწერი აქვს. უეჭველად ერთად თუ არ გაისინჯა, ერთის ნაწერი მეორისაში მოჰყვება.

ამ ჟამად წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში საკმაოდ ბევრი ხელ-ნაწერია. შესაძლებელია, შინაურობაშიაც მოკითხულობით მოიპოვოს კაცმა ზემოხსენებულ მეფეთა ნაწერები, შესაძლოა ამ ჟამად მათი გასინჯვა და ნამდვილის აღდგენა. როდესაც ეს შრომა გათავებული იქნება, მაშინ გულ-დაჯერებით გვეცოდინება, რომელი ნაწერი ეკუთვნის თეიმურაზ პირველსა და რომელი თეიმურაზ მეორესა. მხოლოდ ამ გარკვევის შემდეგ შეიძლება გამომცემელი შეუდგეს დაბეჭდვასა და არა უამისოდ. ამისთანა შემზადებით გამოცემულ თვითოეულის მწერლის თხზულებათა კრებათ ნამდვილი სალიტერატურო მნიშვნელობა ექნება, მკვიდრის ღირსებით შემკობილი მასალა იქნება სალიტერატურო ისტორიის შესასწავლებელი.

«ბატონი ზ. ჭიჭინაძე აპირებს მეფე თეიმურაზ პირველის ლექსების ბეჭდვასაო.» თუ ამ სიტყვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ იბეჭდება ყველა თხზულება თეიმურაზ პირველისა, ეს შეცდომა იქნება, რადგანაც ჯერ არ ვიცით ამ მეფეს მარტო ლექსები უწერია, თუ პროზად ნაწერი წერილები, ან ნათარგმნი თხზულებაცა? ამ სახით ძნელი გამოსაცნობი იქნება, ბ-ნ ჭიჭინაძის გამოცემულ წიგნში სრული თხზულება იქნება მეფე თეიმურაზ პირველისა, თუ არა და რაც იქნება, შერევნილი ხო არ იქნება?

ბ-ნი ზაქ. ჭიჭინაძე დიდი ხანია სხვა-და-სხვა ჩვენის მწერლების თხზულებასა ჰბეჭდავს, ზოგს წვრილ ბროშიურებად, ზოგს მოზდილ წიგნებად. ეს გამომცემლობის შრომა პატივსაცემი შრომაა. მაგრამ მის გამოცემულ წიგნაკებს გამართვა რომ ჰქონიყო, რედაქცია რომ რიგიანი ჰქონოდა, ღირსება მომეტებული ექნებოდა. აქამომდე მის დაბეჭდილებს დიდი ნაკლულევანება აქვს და სრულიად შეიძლება უნაყოფოდ ჩაიაროს ამ გვარმა ბ-ნ ჭიჭინაძის შრომამა. ამისათვის წარმოვსთქვით ზემოხსენებული ეჭვი თეიმურაზ პირველის ლექსის გამოცემის შესახებ. რაკი ასეთი ბეჯითი სურვილი აქვს ბ-ნ ზაქ. ჭიჭინაძეს გამომცემლობის საქმეში, ბარემც ამ მადლს მარილიც მოაყაროს. უშოვოს თავის გამოცემათა წინათვე გამსინჯველი კაცები, რომ რედაქციას ყური უგდონ და მის კეთილ სურვილს მადლიანი ასრულებაც მიანიჭონ.

პ. უ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჯიკაანი, სექტემბრის 19-სა. ეს სოფელი ეკუთვნის თელავის მაზრას და მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზედ. ამ სოფელს აქვს ძლიერ ნაყოფიერი სახნავ-სათესი მინდვრები. ჯიკაანის თავში, ჩრდილოეთის მხრივ გაშენებულია ვენახები, რომელიც ჯიკაანელებსვე ეკუთვნისთ. ამ ვენახებმა თუმცა დიდი გამოსავალი არ იცის ღვინისა, მაგრამ რაც მოდის ძალიან მაღალის ღირსებისა მოდის. აქ იმიტომა დგება მაგარი ღვინო, რომ სავენახე ადგილები ურწყავია; მოწევის დროს ყურძნის მარცვალი ისეთი მაგარია, რომ კაცი ხელის მოჭერით ვერ გასჭყლეტს. სხვა საბაღო მცენარე ამ სოფელში არა მოდის-რა, რადგანაც გვალვის გამო ვერა ხეირობს. ამ სოფელზედ ჩამოდის მდინარე „ფანის ხევის" ტოტი, რომელიც 25 ვერსიდგან არის გამოყვანილი. სოფელ ჯიკაანში სცხოვრებს სულ 200 კომლი. აქ სულ გლეხები სცხოვრებენ; ამ გლეხების სადგომები ჩამომწკრივებულია გზა-ტკეცილის აქეთ-იქიდამ. ყოველ გლეხს უდგია ფიცრულის სახლი. სახლი ზოგს „კრამიტითა" და ზოგს ყავარითა აქვს დახურული; ამ სახლებს აქეთ გვერდებზედ მოდგმული ფიცრულივე მარანი და სათონე. აქაურის მცხოვრებლების უმთავრესი საქმე ცხვრისა და სხვა საქონლის გაშენებაა, რადგანაც დიდი მინდვრები აქვთ. ისეთი გლეხი არ მოიპოვება აქა, რომელსაც ასიდგან მოყოლებული ხუთასამდე ცხვარი და აგრეთვე ძროხა არა ჰყვანდეს. ამის გამო აქაური გლეხები კარგა შეძლებულები არიან. ამ სოფლის გარშემო თორმეტამდე ოთხ-კუთხიანი ციხეა აშენებული. აქ მცხოვრებლებისათვის აუცილებელი იყო ამისთანა ციხეების აშენება, რად-

---

ლა: რად მომივიდა ეს ასე, ამას ეხლავე ვუამბობ მკითხველს.

***

მეც გახლავართ ერთი იმათთაგანი, რომელთაც იშვიათად მოუხდებათ ხოლმე სოფლის ნახვა. ამიტომ ყოველი სოფლური საქმე ჩემს ყურადღებას იზიდავდა; ვსცდილობდი არც ერთი გარემოება, არც ერთი შემთხვევა, რომელიც კი სოფლურ დღიურ ბოროტს შეადგენდა, არ დამეტოვებინა უყურადღებოდ.

აი ერთ კვირა დღეს შევიტყე, რომ დღეს „სოფლობააო", ე. ი. სოფლელების საზოგადო ყრილობა, რომელზედაც დაესწრობა მაზრის უფროსის თანაშემწეო. ეს ამბავი ქიზიყში იყო. მე გავეშურე ყრილობისაკენ. მაზრის უფროსის თანაშემწემ ყრილობას სხვათა შორის გამოუცხადა: „ამ გაზაფხულზედ თქვენი სოფლის ერთმა გლეხ-კაცის შვილმა, ახალგაზდა ყმაწვილმა, საშუალო სასწავლებელში სწავლა გაათავა და სამსახურში შესვლა ჰსურს. უეჭველია, თქვენთვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ თქვენმა კაცმა განათლება მიიღო, წინ მიდის; დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ რაც უფრო ბევრი იქნება განათლებული თქვენის სოფლიდამ, იმდენი მეტი ქომაგი და მოსარჩლე გეყოლებათ ყოველს თქვენს გაჭირებაში; უნდა იცოდეთ, რომ თქვენი ნასწავლი მეზობელი სხვაზედ უფრო მეტად შეგიბრალებთ, სხვაზედ უფრო მეტად დაგზოგავთ, ყოველ შემთხვევაში თქვენის ხელის მომართვას და თქვენთვის შრომას არ დაიზარებს, თქვენთვის კარგს მოიწადინებს და ეცდება ავი თავიდამ აგაშოროთ. ამისათვის თქვენ მოვალენი ხართ, თუ საჭიროება მოითხოვს, ყოველივე შემწეობა აღმოუჩინოთ თქვენის მხრივ ამისთანა კაცებს, დაბრკოლება არა მისცეთ რა და გზა არ დაუხლართოთ. ზემოხსენებულს თქვენს მეზობელს მცირეოდენი დაბრკოლება აქვს, რის გამოც სამსახურში შესვლა უძნელდება: იმას სთხოვენ განთავისუფლების მოწმობას, რომელიც კანონის ძალით თქვენგან უნდა მიეცეს, რომ სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება ჰქონდეს. იმედია, თქვენს მოძმეს არ დაალონებთ და დაუყოვნებლივ ყოველი თქვენგანი მოწმობაზედ ხელს მოუწერს."

უფროსის თანაშემწე ასეთის გრძნობით ამბობდა ამ მოკლე სიტყვას, რომ სრულიად ვერ წარმოვიდგენდი, თუ მსმენელები ამის წინააღმდეგ იტყოდნენ რასმე. მაგრამ სრულიად ის არ მოხდა, რასაც მე მოველოდი. მთელმა ყრილობამ ერთ-ხმად შესძახა: „არ გვინდა, არ მივცემთ მოწმობას! სადაც ჩვენა ვართ, ისიც იქ უნდა იყოსო! ჩვენ უნდა ბეგრისაგან ხელები გადვიტყაოთ და ის კი ბატონად უნდა გავიხადოთ? ჩვენი მეზობელი ჩვენისთანავე უნდა იყოს, ჩვენზედ წინ რად წავიყვანთ და სხვ.!" ამის შემდეგ უფროსის თანაშემწემ თუმცა ბევრი არწმუნა ხალხი, რომ ერთის კაცის განთავისუფლება არავითარ ზარალს არ მოგცემთო, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო დარჩა. გამოვიდა შემდეგ ყრილობის წინაშე თვით განთავისუფლების მთხოვნელის ყელ-გადაგდებული მამა და ცრემლ-მორეულმა შესჩივლა ხალხს: „ხალხნო, დიდი წვალება გამოვიარე, ვალსა და ვახშს არ მოვერიდე, ერთი შვილი ძლივს-ძლივობით გამოვზარდე, რატომ არ გებრალებით? ისეთი რა დანაშაულობა მიგვიძღვის ან მე, ან ჩემ შვილს თქვენ წინაშე, რომ ასე გვღუპავთ? ნუ ჰფიქრობთ, რომ ჩემის შვილის ხარჯი თქვენი ხაკისრებელი გახდება; ოღონდ დღეს იმას ნუ დააბრკოლებთ და ეხლავე სოფელს მივსცემ ხელ-შეკრულობას, რომ ჩემის შვილის ხვედრი ყოველი სოფლეური გარდასახადი და ბეგარა, სანამ ცოცხალი ვიქნები, მე ვტვირთო!—„არ გვინდა, არ მივცემთ!" მოისმა ამის პასუხად.

არ ვიცი კი რა მიზეზია, მაგრამ, მგონია, ყველა ჩვენთაგანს ერთი უცნაური რამ რწმუნება გვაქვს შთანერგილი: ყველასა გვგონია, რომ მომეტებულ ნაწილად ბატონი გლეხთან სტყუის, ღარიბი მდიდართან მართალია, ძალოვანი უძლურსა სჩაგრავს. მეც ამიტომ ვიფიქრე, იქმნება რაიმე სამართლიანი საბუთი ჰქონდეთ გლეხებს, რომ მოწმობის მიცემაზედ უარს ამბობენ-მეთქი. ამიტომ ვკითხე ცალკე ერთ გლეხს მიზეზი ამ საერთო უარისა, ვკითხე მეორესა, ვკითხე მესამეს და, სამწუხაროდ, იმის გარდა რომ მეზობელს მეზობლის სიკეთე ჰშურს, სხვა ვერა გავიგე-რა.

მაინცა-და-მაინც მოწმობის მიუცემლობას დიდ ცოდვად ვერ ჩავუთვლით სოფლელებსა-მეთქი, ვფიქრობდი მე, რადგან ამ საქმეს კერძო მნიშვნელობა აქვს, კერძო ინტერესებს შეეხება და არა მთელის საზოგადოებისას, შეიძლება ხალხმა საზოგადო საქმეში სულ სხვა ფხა გამოიჩინოს-მეთქი,—

გან შამილის დროს ხშირად თავს ესხმოდნენ ხოლმე ლეკები სოფელ ბექანიანს (ეს სოფელი თხუთმეტ ვერსზედ არის ჯიკაანიდგან), ბექანიანიდგან ჩამოდიოდნენ პირ-და-პირ ჯიკაანში და არბევდნენ ხალხს. ამ დროს ჯიკაანელები ციხეებში იფარავდნენ თავს, მაგრამ მაინც ლეკები კიდენ მოასწრობდნენ ხოლმე, იტაცებდნენ პატარა ყმაწვილებს და ერეკებოდნენ დაღისტანში. თუმცა ამ ყმაწვილებს იქ ლეკები თავიანთ რჯულზედ მოაქცევდნენ ხოლმე, მაგრამ როდესაც წამოიზარდებოდნენ, ისევ ჩამოდიოდნენ თავიანთ მშობლებთან და ინათლებოდნენ ქართულად. დღეს ბევრი სცხოვრებს იმისთანა ჯიკაანში, რომელიც ლეკებსა ჰყოლიათ მოტაცებული და ისევ უკან დაბრუნებულა. ჯიკაანელებს სოფლის ბოლოს აქვთ შესანიშნავი ეკკლესია „კვირაცხოველი“. ამ ეკკლესიაში ბევრი ძველი ლეკური ნაშთები მოიპოვება; ლეკურს იმიტომ ვამბობ, რომ პირველად ეს საყდარი მეჩეთი იყო და მერე ეკკლესიად გადააკეთეს ჯიკაანელებმა. ამ სოფელში სკოლა არა აქვსთ გლეხებს გამართული. სკოლის უქონლობა ღარიბ გლეხების ბრალია. ერთხელ კიდეც გარდასწყვიტეს სკოლის გახსნა შეძლებულმა გლეხებმა, მაგრამ ღარიბმა გლეხებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში და გარდასწყვიტეს: „ჩვენ რად გვინდა სკოლაო, ჩვენი შვილები ძროხაშიაც დაიზარდებიან, სკოლის ხარჯის თავი ვისა აქვსო.“

დრიევი—ანჯირ.

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთმა ახლავე მეტი ძალა და მხნეობა გამოიჩინოს ბოლგარიაში და საზოგადოდ ბალკანის ნახევარ კუნძულზე, თორემ მერე გვიან და იქნებაო, ამბობს გაზეთი „Кіевлининъ“-ი. აი გაზეთს რა მოსაზრება მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად.

დიდი ხანია დასავლეთ ევროპაში ჰფიქრობენ, რომ მთელის დასავლეთის სლავიანები ერთად შაერთონ და ერთი დიდი სლავიანების სახელმწიფო შეადგინონ. ყველაზედ მეტად ეს აზრი გერმანიას მოსწონს,—გერმანიას ხელ-ფეხი გაეხსნება და უფრო ადვილად შეეძლება ყველა ნემეცები ერთად შეაერთოს ჰოჰენცოლერნების მფლობელობის ქვეშ. ავსტრიას, რასაკვირველია, ცოტა არ იამება, რომ ნემეცები ხელიდამ გამოერთოს, მაგრამ სამაგიეროდ ამას ჰპირდებიან ბალკანის ნახევარ-კუნძულის სლავიანებსა და თვით სტამბოლსაცაო.

რასაკვირველია, ავსტრია უარს იტყვის და სლავიანებისთვის ნემენცებს ადვილად დასთმობს, მით უფრო, რომ მოუსვენარ ბისმარკთან მეზობლობა არაფერი სასიამოვნოა, სტამბოლში უფრო მკვიდრად იჯდება დღეს ავსტრიისა და შემდეგში სლავიანების იმპერატორი.

რასაკვირველიაო, განაგრძობს იგივე გაზეთი, ბევრი ხელ-შემწყობი გარემოება საჭირო, რომ ეს აზრი ახდეს და ხორც-შესხმულ იქმნას.

აქ შეუძლებელიც კი არა არის რაო, თუ დღესვე ხელს არ შეუშლით ამ საქმესაო.

* * *

გაზეთი «Современныя Извѣстія» ასახელებს კანდიდატებს, რომელთაც შეუძლიანთ ბოლგარიის ტახტი დაიჭირონ. გაზეთს არ მოსწონს ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის კანდიდატობა და პირ და-პირ ურჩევს რუსეთს, სახეში ნუ გეყოლებათ მთავარი ნიკოლოზი, ბოლგარიაში ამის მთავრობა სრულიად შეუძლებელიაო.

აი თუ სერბიის ტახტს დავუცლიდით მთავარს ნიკოლოზსა, ეს სულ სხვა იქნებოდა, ამბობს გაზეთი. სერბიაშია ნიკოლოზის ადგილი და აქ ფეხსაც ადვილად მოიდგამს, რადგან სერბიელებს სრულიად არ უყვართ თავიანთი კოროლიო.

მერე რაღა უშლის საქმესა? რატომ არ ჩამოაყენებენ კოროლ მილანსა და ნიკოლოზს არ დასვმენ ტახტზე იმის ადგილას?

საქმე იმაშიაო, გვიპასუხებს გაზეთი, რომ კოროლი მილანი თუმცა ძალიან დაფიქრდა იმის შემდეგ, რაც ბატენბერგი ტახტიდამ გადმოაგდესო, მაგრამ თავის ნებით ტახტიდამ ჩამოსვლა მაინც არა ჰსურსო. არა ჰსურს იმიტომ, რომ ავსტრიას არ მოეწონება ესა და დიპლომატები ეცდებიან ძალით დაიჭირონ მილანი სერბიის ტახტზეო. ამას იმიტომ იზამს ავსტრია, რომ ბალკანის ნახევარ კუნძულზე საერთო არეულობისა ეშინიანო.

ახირებულია ღმერთმანი! კაცი კოროლი იყოს, მერე დამოუკიდებელი, თავისუფალი და იმოდენა თავისუფლებაც კი არა ჰქონდეს, რომ ტახტზე უარი ვერა სთქვას, თუ სხვა სახელმწიფო ნებართვას არ მისცემს!..

---

# უცხოეთი

~~~

**ბოლგარია**. რუსეთმა გენერალი კაულბარსი დანიშნა ბოლგარიაში თავის წარმომადგენლად და იმედიცა ჰქონდა, რომ საქმეებს რიგიანად წაიყვანდა კაულბარსი, მაგრამ რუსეთის იმედი მტყუნდება. ბევრჯელ გადასცა კაულბარსმა ბოლგარებს რუსეთის სურვილი, რომ არჩევანების ჩქარა დანიშვა არ შეიძლება და ადრე მოწვეულ დიდის საერო კრების გარდაწყვეტილებას რუსეთი უკანონოდ ჩასთვლისო, მაგრამ მაინც რეგენტების და მინისტრების რჩევას დაუდგენია, რომ არჩევანები 28 სექტემბერს დაენიშნოთ და ორის კვირის შემდეგ-კი დიდი საერო კრება მოეწვიოთ მთავრის ამოსარჩევადაო. კაულბარსი თავის სურვილს ვერ ქწევა, როგორც ეტყობა. რეგენტები მარტო იმაში დაეთანხმნენ ბარონ კაულბარსს, რომ შიშიანობის წესთა გაუქმებას 3 ოქტომბერს გამოვაცხადებთო. დაეთანხმნენ, მაგრამ ეს დათანხმება, ჩვენის აზრითაო, ამბობს გაზ. „Новости“, თვალთ-მაქცობაა და სხვა არაფერიო. ამ დათანხმებით რეგენტებს უნდათ დრო მოიგონ, შიშიანობის წესთ არ გააუქმებენ და არჩევანის დაბოლოვამდე ისეთსავე მდგომარეობაში იქმნება ბოლგარია, როგორშიაც ეხლა არისო.

რეგენტებს იმიტომ უნდათ დააშოშმინონ ბარონი კაულბარსი და არაფერში გაუწიონ წინააღმდეგობა, რომ დღე-დღეზედ მოლოდინი აქვთ, ინგლისი ჩაერევა ბოლგარიის საქმეშიო. ამას გარდა რეგენტები ინგლისის ელჩის სტამბოლში დაბრუნებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ, დიდის მოუთმენლობით მოელიან აგრეთვე, რა პასუხს მისცემს უნგრიის მინისტრ-პრეზიდენტი ტისსა პეშტის სეიმსაო. ტისსას სიტყვას მარტო ბოლგარები, ბატტენბერგის მომხრეები, სერბია და რუმინია კი არ მოელის და დიდს მნიშვნელობას აძლევს, მარკის სალისბერისა და გრაფ დეპრეტისსაც რაღაცა იმედი აქვსთ ამ სიტყვისაო. ტისსას სიტყვას იმიტომ უფრო აძლევენ დიდს მნიშვნელობას, რომ ტისსას ამას წინად გრაფ კალნოკისთან დიდხანს ულაპარაკნია და რჩევა ჰქონიაო. მკითხველებმა უკვე იციან დეპეშებიდამ, რა სიტყვაც წარმოსთქვა ტისსამ სეიმში.

— გაზეთი „Post“-ი ამბობს, რომ გერმანია და ავსტრია ბოლგარიის დამოუკიდებლობას დაიცვავენო. მეორე გერმანიის ოფიციოზური გაზეთი-კი პირ-და-პირ გვაშინებს ინგლისითა და ავსტრიითაო, ამბობს გაზ. «Новости». ერთი გერმანიის გაზეთი ამბობს, რომ ბოლგარიის საქმეები ეხლა ამ მდგომარეობაში არ იქმნებოდა, თუ ინგლისს ადრევე დაეჭირა თადარიგი, ეპოვნა მოკავშირე და წინააღმდეგობა გაეწია რუსეთისათვისაო. ეს გაზეთი ძალიან გაჯავრებულია ალექსანდრე ბატტენბერგზედ:—რისთვის უარ-ჰყო უკანასკნელად თავისთავად სამთავრო ტახტიო? უარი რომ არ ეყო, პრინცი ალექსანდრე ეხლაც მთავრად იქნებოდა, დიდნი სახელმწიფონი მხარს მისცემდნენ, მფარველობას გაუწევდნენ და ადვილად გაუძლებდა რუსეთის რისხვასაო. მას შემდეგ რაც თავისთავად უარ-ჰყო სამთავრო ტახტი, ალექსანდრე ბატტენბერგი ღირსი აღარ არის დიდთა სახელმწიფოთა მფარველობისა და ზრუნვისაო.

---

# დეპეშა

22 სექტემბერს

**სოფია**. მინისტრთა რჩევამ, დიდის ხნის ბაასის და კამათობის შემდეგ, გადასწყვიტა, რა გვარად უნდა დაიწეროს ის ნოტა, რომელიც რუსეთის დიპლომატიურს აგენტს უნდა ჩააბარდეს. ამ ნოტაში სწერია, რომ ბარონ კაულბარსთან მოლაპარაკების შემდეგ, ბოლგარიის მთავრობა მზად არის ისე მოიქცეს, როგორც რუსეთი ურჩევსო, მაგრამ ისე კი, რომ ამით არ დაარღვიოს თავის ქვეყნის კანონებიო.

**რუშჩუკი**. გენერალ კაულბარსსა ჰფიქრობს მოიაროს ბოლგარია, რათა უფრო დაახლოვებით გაიცნოს საქმეთა მდგომარეობაო.

**ჟურჟევო**. ბარონ კაულბარსთან მივიდა დიდი დეპუტაცია, რომელსაც გენერალმა უთხრა სხვათა შორის, რომ თუ ბოლგარიის მთავრობამ არ შეასრულა რუსეთის სურვილნი და ნება ხელმწიფე იმპერატორისა, მთელი ბოლგარია შეიქმნება ამის გამო პასუხის-მგებელიო. ბარონ კაულბარსის მტკიცემა და რიხიანმა ლაპარაკმა ძლიერ იმოქმედა დეპუტაციაზედ.

23 სექტემბერს

**სოფია**. კვირას დილით დიდი კრება იყო და 4000 კაცი დაესწრო. სოფიის დეპუტატმა ვულჩევმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა «არავის არა აქვს ნება ჩვენს საქმეებში ჩაერიოს, ჩვენ გვსურს ჩვენი თავი ჩვენვე განვაგოთ სხვის ჩამოურეველად, ერთის კვირის შემდეგ არჩევნები დაიწყება; იმედია, ბოლგარელნი დაანახვებენ ყველას, რომ იმათ შეუძლიანთ დაიცვან თავისუფლება და იმოქმედონ კანონიერის თანხმად». ვინმე ივანოვმა, რუსეთის ქვეშევრდომმა დაიყვირა: „არ გვინდა ბოლგარიაო!“ და ამის გულისთვის ხალხმა სცემა და მძიმედ დაჩეჩქვა. შემდეგ ამაღლებულ ადგილზედ ავიდა მეორე ორატორი დმიტრიევი და ისევე ლაპარაკობდა, როგორც ვულჩევი. ამ დროს მეიდანზე გამოჩნდა ეტლით გენერალი კაულბარსი. დმიტრიევმა შესწყვიტა თავისი სიტყვა და დაიძახა: „გაუმარჯოს რუსეთსაო!“ გენერალი კაუბარსი გადმოვიდა ეტლიდამ გაერია ხალხში და ყოველ მხრივ დაიწყო სიარული. ყველამ ქუდები მოიხადეს და „ურასა“ ჰყვიროდნენ. კაულბარსი ავიდა ამაღლებულს ადგასა და მოემზადა სალაპარაკოდ. ხალხში ვიღაც კაცმა დაიყვირა: „გაუმარჯოს რუსეთსაო!“ და ამის გულისათვის სცემეს. ხალხი ამბობდა: „იმიტომა სცემეს იმ კაცსა, რომ დაიძახა: „არ გვინდა ბოლგარიაო!“ გენერალმა კაულბარსმა სთქვა: „ხელმწიფეს კეთილი ჰნებავს ბოლგარიისათვის ,

---

ამით გაეიკეთე გული. აი იმავე ყრილობაზედ გამოცხადდა მეორე საქმეც. ეს იყო ალაზანზედ ბორნის გამართვის შესახებ იქვე სოფლის ბოლოს. ამ სოფელს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ თითქმის მთელი მისი სახნავი მიწები, სათიბი, საძოვარი და ტყე სულ მდინარის გაღმაა. ამიტომ ყოველ დღე, ყოველ ჟამს შეხედებით აუარებელ ხალხს—დიდსა და პატარას, კაცსა და დედა-კაცს, რომელნიც იძულებულნი არიან დღეში ორჯელ და სამჯერ გავიდ-გამოვიდნენ წყალში, გაიტ-გამოიტანონ ცარიელი და დადებული ურმები; გაიყვან-გამოიყვანონ გაზაფხულ-შემოდგომობით ცხვრის ფარა, ღორისა და სხვანი. ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირვებაში იქმნებიან ყოველ დღე წყალში გამვლელ-გამომვლელნი, ნამეტნავად თუ დაუმატებთ, რომ ჯერ თვითონ ალაზანი პატარა მდინარე არ არის და ამასთან საშინელი ადიდება იცის გაზაფხულზედ და წვიმა ავდრის დროს. რასაკვირველია, ყოველ წლივ სამსა და ოთხს კაცს აუცილებლად იმსხვერპლებს ხოლმე და ოთხ-ფეხი საქონელი ხომ უთვალავი ილუპება. ხშირად მომხდარა, რომ გლეხ-კაცს ურმით საფქვავი ჰქონია გაღმაურ წისქვილებში, მოუტანია დაფქული ურმით წყლის ნაპირს და ადიდების გამო ორის კვირის განმავალობაში მდგარა ერთს ადგილასა, ულოდნია და სახლში კი ცოლ-შვილი შიმშილით დასწიოკებია. რადგან ეს კარგად ვიცოდი, ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ ბორნის გამართვის ამბავი გლეხებს დიდად ესიამოვნებოდათ. მაგრამ აქაც გამიმტყუნდა იმედი.

უფროსის თანაშემწემ ხალხს გამოუცხადა, ერთს თქვენსავე მეზობელს თავის ხარჯით ჰსურს თქვენის სოფლის ბოლოს ბორნის გამართვა და, უეჭველია, თქვენ ნებას მისცემთ, რადგან ბორანს თუ არ სარგებლობა, არავითარი ზარალის მოტანა თქვენთვის არ შეუძლიანო. მოსმენისათანავე ხალხი ცივს უარზედ შესდგა. დაიწყეს ყვირილი: „არ მიეცემთ ნებას, არ გვინდა, მაგას ჩვენი გაყვლეფა უნდა, მაგას ჩვენის ფულით გამდიდრება ჰსურს, ჩვენ ალაზნისა არ გვეშინიან, ეგ თავის ქერქში იჯდეს, ის ურჩევნია და სხვ.!“ გამოვიდა ამის შემდეგ ყრილობის წინაშე ბორანის გამართვის მსურველი და უთხრა ყრილობას: „მე წყალში გამოყვანისათვის ნარდად არავის არას გამოვართმევ. დაგიწერავთ პირობას, თქვენვე დამიწესეთ ნიხრი თვითეულ სულზედ, დიდსა და პატარაზედ, ურემზედა და საქონელზედ და თუ როდისმე პირობის წინააღმდეგ ვისმე მეტი ვსთხოვო, ჯარიმა გადამახდევინეთ; ამასთან იმასაც გეტყვით, რომ რაც დღეს თქვენ მენავეებს აძლევთ, მე იმის ნახევარ დაგჯერდებით.“

— „არა, არ გვინდა, შენ ჩვენის ფულით გამდიდრება გწადიან!“ მოისმა კვლავ პასუხად.

ერთის მხრით რომ კაცს შეეხედნა ამ გარემოებისათვის, თითქმის იტყოდა: დახე გლეხებს, როგორ ფრთხილად იქცევიან; სჩანს თვალები აუხელიათ და დღეს მტკიცედ იცავენ საკუთარს ინტერესებსაო. მაგრამ მცირედი დაკვირვება კაცს სულ სხვას აფიქრებინებდა: გლეხებს იმისი ეშინოდათ, რომ ჩვენ ისევ ღარიბები ვიქმნებით და მეზობელი კი გამდიდრდებაო. ამ გვარად იმავე შურმა მეზობლის სიკეთისა გამო გლეხებს ის საქმე ჩაადენინა, რომ ისეთი ყოვლად უუსაჭიროესი საგანი, როგორც ბორანია, უარ-ყოფილი შეიქმნა, თუმცა ბორანი სოფელს სრულიად მუქთად უკეთდებოდათ.

ამავე ყრილობაზედ ერთი სხვა შემთხვევაც იყო. ორ ახალ გაზდა გლეხს, რომლებიც ობლობის გამო სიყმაწვილიდგანვე სიღნაღში აღზრდილან, სადაც შეუსწავლიათ ხელობა, გაუჩენიათ საბოლოვო საცხოვრებელი და თავისთვის შრომობენ, მოუწადინებიათ თავის სოფლიდგან გადასახლება და სიღნაღზედ მიწერა, რადგან სოფელში არავითარი საქმე არა აქვსთრა. გამოაცხადა თუ არა ეს ბოქაულმა, ხალხი თავისებურად აყაყანდა: ‹ეგ-ლა გვაკლდა, რაღა გვიქნია, ჩვენ აქ ბეგარაზედა სული ამოვირთვათ და ეგენი კი სიღნაღში თავისუფლად დასეირნობდნენო!› თუმცა ბევრი ელაპარაკა ხალხს ბოქაული: მაგათი საბეგრო გარდასახადი სოფელს აეხდებაო, მაგრამ ხალხი გაჯიუტდა და თავისი მაინც გაიყვანა. არც ამ უარის თქმასა აქვს შესაწყნარებელი საბუთი: ხალხმა განგებ დახუჭა თვალი და არ მოინდომა, დაენახა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ თუნდ ასის კაცის გადასახლებას, რომელთაც არც დღემდისა ჰქონიათ და არც შემდეგში ექმნებათ სოფელთან რაიმე დამოკიდებულება, არავითარი ზარალის მოტანა სოფლისათვის არ შეუძლიან.

ალ. მირიანაშვილი
~~~

ჰსურს გამოიყვანოს ეს ქვეყანა დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდამ და მოითხოვა, რომ შიშიანობის წესნი გაუქმებული ყო.“ «უკვე გაუქმებულიაო», დაიძახა ხალხმა. გენერალმა განაგრძო ლაპარაკი: „შიშიანობის წესთა გაუქმება შეაძულებინებს ბოლგარიას, თავისუფლად ამოირჩიოს დეპუტატები ერთისა ანუ ორის თთვის შემდეგ.“ ამაზე გენერალს სიტყვა გააწყვეტინეს და შესძახეს: „ორის თთვის შემდეგ-კი არა, ერთის კვირის შემდეგაო.“ გენერალმა სთქვა: „ვისაც არა ჰსურს მოისმინოს ჩემი ლაპარაკი, წავიდეს აქედამაო.“ „ჩვენა გვსურს ყური დაგიგდოთო“, იგრიალა ხალხმა. „ამ მოკლე ხანში არჩევანებისთვის ვერ მოემზადებითო; დატუსაღებული აფიცრები უნდა გაანთავისუფლოთ.“ — «არა, დეე დაისაჯნენო! დაიძახეს ხალხში. „პასუხი იმათ მოეთხოვებათ, რომელნიც თქვენ გაქეზებენ და მაგ გზაზედ გაყენებენო;“ სთქვა კაულბარსმა, გადმოვიდა ამაღლებულის ადგილიდგან, საიდგანაც ლაპარაკობდა და ეტლში ჩაჯდა. კაულბარსის ეტლში ჩაჯდომის დროს არავის ერთი საწყენი სიტყვაც არ უთქვამს ვულჩევი ხელახლად წამოდგა წინ და სთქვა: „თქვენ თითონ გაიგონეთ, რაცა ჰსურს რუსეთსა. რაც იქმნება, იქმნება და ჩვენ კი სიცოცხლეს ნუ დავზოგავთ, ოღონდ კი ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება დავიცვათო“. ხალხი წავიდა როდოსლავოვის სახლისკენ. როდოსლავოვმა უთხრა გმადლობთ, რომ მთავრობის იმედი გაქვთ და აგრე ენდობითო.

გუშინ, საღამოს 10 საათზედ კაულბარსი რუშჩუკს წავიდა. კაულბარსი ოხრანიესა და პლევნაზე გაივლის რუშჩუკიდგან ვარნასა და ფილიპპოპოლს წავა და შემდეგ სოფიაში დაბრუნდება. კაულბარსის მგზავრობა ორ კვირამდე გასტანსო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

### სექტემბერი 30 დღით არის

**24 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოციქულთა სწორ. თეკლესი. კათოლ. ყოვლად-წმ. მარიამ მერცედელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48—8. ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 5—34; მთვარე ამოდის 2—21, ჩადის 12—0.

**25 დღე ხუთშაბათი.** ღირს. ქალწულ. ევფროსინასი. კათოლ. წმ. ალმს. ვლადისლავ გელნოელისა. სომეხ. წმ. მამა მთავართა ბარალამ, ანთიმე და ერანისა. დაბადება და სახელ-წოდება მ. უმ. სერგეი მიხეილის-ძისა ჭეშმარიტი შუა-დღე 11—74—51. ტფილისში მზე ამოდის 6—2, ჩადის 5—33; მთვარე ამოდის 3—0, ჩადის 12—12.

**26 დღე პარასკევი.** მიცვალება წმ. მოციქულ-მახარობელ იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. ამაღლება წმ. ჯვარისა. ტფილისში დაარსეს სასწავლებელი კეთილ-შობილთა ყმაწვილთათვის, 1802. ტფილისში დიდი მიწის-ძვრა იყო, 1804 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—34. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 5—31; მთვარე ამოდის 3—38, ჩადის 1—8.

**27 დღე შაბათი.** მოწ. კალისტრატესი. კათოლ. წმ. მოწ. კოზმისა და დამიანისა. სომეხ. წმ. გიორგი მხედართ მთავრისა, ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—17. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის 5—29; მთვარე ამოდის 4—5, ჩადის 2—3.

**28 დღე კვირა.** წინ.-მეტყ. ბარუქისა. ღირს. ხარიტონისა. სომეხ. ვარაგა სურბხაჩისა. ნება რთვა გამოვიდა, რომ ტფილისში გამოსცენ სომხური სალიტერატურო გაზეთი „არარატი“, 1849 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—1. ტფილისში მზე ამოდის 6—6, ჩადის 5—27; მთვარე ამოდის 4—25, ჩადის 3—0.

**29 დღე ორშაბათი.** ღირს. კვირიაკესი და თეოფინესი. კათოლ. წმ. მთავარანგელოსის მიხეილისა. სომეხ. დავით დვინელისა, ევლამპისა და ევლამპიასი. ტფილისში დიდი მიწის ძვრა იყო, 1804 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—46. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 5—25; მთვარე ამოდის 5—4, ჩადის 3—53.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ |
| › › 2 › | 2 › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 4½ › |
| › › 2— | 3 › |
| › › 3 › | 2½ › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1 ლის ხარისხისა . . | 4½ › |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ › |
| მე-3 — . . . | 3 › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 › |
| ‹ › 2 | 6 › |
| სუკი . . . . | 13 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 6 › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

# განცხადებანი

26 სექტემბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე იქნები საერთო ყრილობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. საგანი განხილვისა:

1) საზოგადოების მიმდინარე საქმეები.

2) ექიმი ა. ნ. არასხანიანცი წაიკითხავს აბრეშუმის ამოხვევის თაობაზე ნუხაში და ყარაბაღში.

ყრილობაზე შეუძლიანთ დასწრონ გარეშე პირნიცა. (3—1)

## ექიმი
### ს. პ. ჩემენსოვი

გადავიდა სოლოლაკზედ, ამაღლების ქუჩაზედ, ტერ-მოსესოვის სახლებში № 8. (3—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

### ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинсаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირ-და პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—2)

---

### ინგლისის მაღაზიამ

ახლად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—9)

---

### ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—18)

---

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

**საქართველოს მოკლე ისტორია**
ფასი 60 კაპ.
(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**
ფასი 45 კაპ.

**მერცხალი**
ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** გჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს ‹ა› გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა

# ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა
გრიგოლ გურიელის გამოცემა
ილია ჭყონიას რედაქციით.
ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

---

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

# ვახუშტი
## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დასტული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთაზეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოვა 1887 წელს. (20—14)